



№ 21/05-31/01

2021 წლის 31 მაისი
ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, №43;**ანგარიშგება რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს**

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებულ წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე, რომელიც ასახავს საანგარიშგებო პერიოდში ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას, წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და აქტივების ცვლილებას, პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა განისაზღვრება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, რომელიც ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნის დაცვასთან ერთად, მოიცავს:

შიდა კონტროლის სისტემის შექმნას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს შეცდომის ან თაღლითობის გამო ფინანსურ ანგარიშგებაზე დაშვებული არსებითი შეცდომის გამოვლენა;

განცხადებას, არის თუ არა არჩეული და გამოყენებული შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკა;

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით, პროგნოზირებად მომავალში საწარმო ფუნქციონირებას არ შეწყვეტს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, აუდიტორი პასუხისმგებელია:

მოახდინოს წინდახედული და არსებითი შეფასებები;

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ.

აუდიტორული დასკვნა

(შპს “ჩვენი რადიოს”-ს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგებაზე)

ჩვენმა აუდიტორულმა კომპანიამ (შპს “ინფოუდიტი”) 2021 წლის 15 მაისს გაფრთხილებული ხელშეკრულების საფუძველზე ჩავატარეთ შპს “ჩვენი რადიოს” (შემდგომში საზოგადოება) 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რაც მოიცავს:

საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისთვის, საზოგადოების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების (ბალანსი) აუდიტს;

საკუთარ ფონდში ცვლილების ანგარიშგების აუდიტს;

ფულადი ნაკადის ანგარიშგების და განმარტებითი შენიშვნების აუდიტს, იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე. ეს პასუხისმგებლობა მოიცავს: ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენისათვის საჭირო შიდა კონტროლის სისტემის შექმნას და გამოყენებას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს შეცდომის ან თაღლითობის გამოვლენა, შესაბამისი სააღრიცხვო შეფასებების გონივრულ გამოყენებას.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია, ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი ტარდება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები აუდიტორისგან მოითხოვს, რომ დაიცვას ეთიკის მოთხოვნები და დაგეგმოს და განახორციელონ აუდიტი გონივრული რწმუნების მოსაპოვებლად იმის შესახებ, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება თავისუფალი არსებითი უზუსტობისგან.

აუდიტი მოიცავს პროცედურების განხორციელებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ინფორმაციაზე. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის მსჯელობაზე, მათ შორის ფინანსურ ანგარიშგებაში როგორც თაღლითობით, ისე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებაზე, ამ რისკის შეფასებისას, აუდიტორი ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემას, რომელიც შეესაბამება, ორგანიზაციის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებას და სამართლიან წარდგენას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს გამოყენებული ბუღალტრული შეფასებების შესაბამისობის შეფასებას.

დასკვნა

ჩვენი კომპანიის მოსაზრებით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად ასახავს საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრისთვის, მისი საქმიანობის შედეგებს, ფულადი ნაკადების მოძრაობას და საწესდებო კაპიტალში ცვლილებებს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და თანხვედრაშია საქართველოში მოქმედ საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი განმარტება:

შპს "ჩვენი რადიო" (შემდგომში საზოგადოება) რეგისტრირებულია 2004 წლის 29 ივლისს და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი 202236954.

დირექტორი: გოგა სამუშია, პ/ნ: 51001001920;

ფინანსური ანგარიშგების შედგენისა და შეფასებისას გამოყენებული მეთოდები

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია საქართველოში ზოგადად აღიარებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად. ანგარიშგება შედგენილია საქართველოს ეროვნული ვალუტა, ლარში.

საზოგადოებაში დებიტორ-კრედიტორები აღირიცხება მათი ნომინალური ღირებულებით, აღრიცხვისას გამოყენებულია საქართველოში აღიარებული სააღრიცხვო პრინციპები, გადასახადების გამოანგარიშება საზოგადოებაში წარმოებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით. შემოსავლები: საზოგადოებაში ძირითად შემოსავალს წარმოადგენს სარეკლამო დროის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები.

დანართი 1- აუდიტორული ფირმებისა და აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში სარეგისტრაციო დოკუმენტები (რეგისტრაციის თარიღი: 01.03.2017);

შპს "ინფოაუდიტი"-ს
დირექტორი

აუდიტორი



მ. მელქაძე

გ. მელქაძე